

## ჯავახეთის ზეგნის ვულკანური რელიეფის ფორმირების ძირითადი ფაქტორები

*მარიამ ახალკაციშვილი, ბეჟან თუთბერიძე*

[mariam.akhalkatsishvili@tsu.ge](mailto:mariam.akhalkatsishvili@tsu.ge)

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

ჯავახეთის ზეგნის რელიეფი ენდოგენური და ეგზოგენური რელიეფწარმომშობი პროცესების შედეგია. ენდოგენური რელიეფწარმომშობი ფაქტორებიდან აღსანიშნავია: ვულკანიზმი (ძირითადად) და ტექტონიკა. რელიეფგარდამქმნელი ფაქტორებიდან წამყვანი როლი ეროზიულ-დენუდაციურ და გრავიტაციულ პროცესებს ეკუთვნის, ნაკლებია გლაციალური პროცესების როლი.

ჯავახეთის ზეგნის ვულკანური რელიეფის თანამედროვე სახით ჩამოყალიბება გვიანმიოცენიდან იწყება. რელიეფის განვითარების ისტორიაში სამი ეტაპი გამოიყოფა გვიანმიოცენურ-ადრეპლიოცენური, გვიანპლიოცენ-ადრეპლეისტოცენური და გვიან-პლეისტოცენური. თითოეული მათგანი – ტექტონიკურ მოძრაობების, ვულკანიზმის განვითარების და ეგზოგენური რელიეფწარმომშობი პროცესების ინდივიდუალობით ხასიათდება.